კვირა, 1917 წ. 6 მარიამობისთვე (19)    წელიწადი მესამე    ფასი 10 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ იანვრიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით — 5 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 2 მან. — ცალი № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე — 20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე.

№ 172    ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი    № 172


# სახელმწიფო ბანკის
## თბილისის კანტორისაგან

### შემოსავალზე დადებულ გადასახადებისაგან თავისუფალ

# „თავისუფლების სესხზე"

### ხელის მოწერა

# დამფუძნებელ კრებამდის გადიდო

**ამ სესხის ობლიგაციები გამოცემულია 20, 40, 50, 100, 500, 1000, 5000, 10,000 და 25,000 მანეთის ღირებულებისა. ობლიგაციებს 5% სარგებელი მოაქვთ. ამ სარგებელს წელიწადში ორჯერ იძლევიან მარტის 16-ს და ენკენისთვის 16-ს.**

სესხი 5 წლითაა გამოცემული და **1922** წლიდან მოყოლებული ყოველ-წლივ იქნება მათი ტირაჟი

## ხელის მოწერა მიიღება

სახელმწიფო ბანკის კანტორებში და განყოფილებებში.
მუდმივ და სავალე ხაზინებში.
სახელმწიფო შემნახველ კასებში.
წვრილი კრედიტის დაწესებულებებში.
სახელმწიფო, სათავად-აზნ. და საგლეხო საადგილ-მამულო ბანკებში.
კერძო საკომერციო და საადგილ-მამულო ბანკებში.
საქალაქო საზოგადო ბანკებში და საურთიერთო კრედიტებში.

**კერძოდ თბილისში:**
ნოტარიუს გ. ა. გოგიზატთან (ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა).
„ ა. ი. მიტკევიჩთან განოვის ქ. № 315).
„ მ. ლ. ქართველიშვილთან (განოვის ქუჩა № 4).
„ ბ. ვ. ლუკამსკისთან (განოვის ქუჩა № 7).
„ ა. ი. კარაკაშთან (ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა).
„ მ. ლ. მაჭავარიანთან (ერევნის მოედანი, ვაჭართა ბანკის სახლი).
„ ი. ი. სტრახოვთან (პუშკინის ქ. საქალ. საკრედიტო საზოგ. სახლი).
ფრიდონოვისა და კომ. საბანკო კანტორაში.
ტფილისის ქალაქის საგზოში.

## ხელის მოსაწერი ფასია

**85 მან. და 100 მან. ამას მიემატება მიმდინარე პროცენტები ამა წლის მარტის 16-დან ფულის შეტანამდის.**

ხელის მოსაწერი ფასი უნდა შეტანილ იქნას ერთდროულად, გაუნაწილებლივ. ამავე დროს ობლიგაციების და კვიტანციების ძალით (კვიტანციებს აძლევენ დროებით, ობლიგაციების მიღებამდის) სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში და ხაზინებში, სადაც კი სესხის ოპერაციებია, შეიძლება მიეცეთ სესხი 75 პროცენტი ნომინალ კასისა, ლგოტის წლიურ პროცენტისა (5¾). ეს ოპერაციები განთავისუფლებულ იქმნება საგანგებო სახელმწიფო გადასახადისაგან, რა გადასახადიც დაწესებულია მიმდინარე ანგარიშებისათვის და თამასუქებისათვის—საჩქარო სესხისათვის.

სესხზე ხელის მოწერის დროს შეიძლება შეტანილ იყოს 5 პროცენტიანი ვალდებულებანი სახელმწიფო ხაზინისა, წლიურ 5 პროც. გამოკლებით.

ხელის მომწერთა მიერ შეძენილი ობლიგაციები შესანახად მიიღება სახელმწიფო ბანკში და ხაზინებში. შენახვლები განთავისუფლებულნი იქნებიან საგერბო გადასახადისაგან.

**მოქალაქენო!**
გახსოვდეთ, რომ თუ **თავისუფლების სესხზე** ხელის მოწერა კარგად წავიდა, მაშინ ქაღალდის ფული დაიკლებს, ეს საკრედიტო მანეთიანის (ქაღალდის მანეთიანის) ფასს მოუმატებს და ამით შესაფერისად სიძვირეც დაიკლებს.

სამშობლო თქვენგან მსხვერპლს კი არა თხოულობს, არამედ ვალის ასრულებას. ვასესხოთ ფული სახელმწიფოს და ამით ჩვენი თავისუფლება დაღუპვისაგან დავიხსნათ.

2—77—2

# გაზეთის შინაარსი

## საგულისხმო ცნობები

ინგლისელებმა და ფრანგებმა ლოოსთან ახალი შეტევა დაიწყეს.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა სტოკჰოლმის კონფერენციაზე წასვლა.

კიევის სოციალ-დემოკრატებმა დაადგინეს, რომ ჩამორთმეული მიწები გამოსყიდული იქმნას.

## წერილები


**მეთაური.** დემოკრატიული თვითმართველობა და კლასიური ორგანიზაციები.

**რ. ინგილო.** ტანჯული ეკლესია.

**გ. ჟურულის მოხსენებიდან:** „თბილისის ფინანსები“.

**ნ. აზიანი.** პატარა ფელეტონი.

თბილისის არჩევნების ცხრილი.

კათოლიკოსის-მოსაყდრის სიტყვა.

ქუთაისის არჩევნებისათვის (ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სია № 4).



საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქუთაისის გუბ. კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ კვირას, 30 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, გარდაიცვალა

გიორგი ფილიქსეს ძე

ზდანოვიჩი

გამოსვენება დანიშნულია ქუთაისში, ოთხშაბათს 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან.

4—793—2

კვირას, 6 აგვისტოს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ეკატერინე ივანეს ასულის

სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები მისნი ვახილ და ადამ ივანეს ძენი ფორაქაშვილები.

დასაწყისი წირვისა 10 ს., პანაშვიდისა 12 ს.

2—742—2

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხარფუხის კლუბი, მიხეილის პროსპექტი № 131)

კვირას, 6 აგვისტოს

ოპერეტკა რუსულ ენაზედ

დასაწყისი სღ. 9 საათზედ.

ანონსი: ორშაბათს, 7 აგვისტოს ხინემატოგრაფი. 1—725—1

ამიერ-კავკასიის

საფეროლო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ

განმეორებითი გამოცდები დანიშნულია 25 და 26 აგვისტოს.

მისაღები გამოცდები დაიწყება 27 აგვისტოდან.
მოწაფეებს მიიღებენ კონკურსით, მარტო 1 კლასში.
ადგილთა რიცხვი შეზღუდულია.
თხოვნები მიიღება 15 აგვისტომდე.
გამოცდები დაიწყება დილის 9 საათზე (ხალი დრო). 1—726—1


**თბილისი, მარიამობისთვის 6.**

## დემოკრატიული თვითმართველობა და კლასიური ორგანიზაციები

უკვე ოთხი თვეა, რაც საქართველო, ისე როგორც მთელი რუსეთი, სარევოლუციო წესებით ცხოვრობს.

რევოლუცია მარტო ძველი წყობილების დანგრევით არ გამოიწურება, რევოლუცია ახალი, უფრო „სამართლიანი“ წესების შექმნას გვავალებს;

მაგრამ ცხოვრების ახალი ფორმების ორგანიზაცია მარტო ერთი წოდების, კლასის, ან პარტიის პრივილეგია არ არის და ვერც იქნება.

ახალი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მართვა-გამგეობა მთელს ხალხს შეეხება, იგი სახელმწიფოებრივი საქმეა და სახელმწიფო კი ერთი კლასის დოვლათი არ არის.

რევოლუციის მეთაურ წრეებს ყოველთვის ავიწყდებათ ხოლმე ეს ჭეშმარიტება და პირველ ხანაში ახალი სარევოლუციო მთავრობა უფრო ხშირად რომელიმე კლასიური პარტიის „დიქტატურის“ სახით ევლინება საზოგადოებას.

მაგრამ საკმარისია სარევოლუციო დემოკრატიული კანონების განხორციელების დაწყება, რომ კლასიურმა ორგანიზაციებმა არა კლასიურ, მთელი დემოკრატიის თვითმართველობას დაუთმონ თავის ალაგი, უფლება და ძალა.

ავიღოთ მაგალითად ჩვენი ქალაქი. რევოლუციის დასაწყისმა თბილისის გამგებლობა ქალაქის „აღმასრულებელ კომიტეტს“ გადასცა, მაგრამ ფაქტიურად მთელი ქალაქის ბატონობა მუშათა საბჭოს კომიტეტის ხელში გადავიდა. აქ მოხდა ის, რასაც დეპუტატმა აკ. ჩხენკელმა ახალ-სენაკში ყოფნის დროს „ადმინისტრატიული და სარევოლუციო ორგანიზაციების ფუნქციათა აღრევა“ უწოდა.

მუშათა სარევოლუციო საბჭო ფაქტიურად მუნიციპალურ და ადმინისტრატიულ ორგანიზაციად იქცა, თუმცა თავისი შემადგენლობით თუ არა, თავისი პროგრამითა და ტაქტიკით მაინც იგი მხოლოდ „პროლეტარიატის“ კლასიური ორგანიზაცია არის.

ასე იყო დღემდის. ახლა კი თბილისს მოქალაქეთა ყველა წრეების წარმომადგენელთა ორგანიზაცია ჰყავს: ეს არის საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული ქალაქის საბჭო.

ქალაქის საბჭო მოქალაქეთა უმრავლესობის ნების ყოფის გამომხატველია და ამიტომ მას უფრო მეტი დემოკრატიული ავტორიტეტი და ნდობაც აქვს, ვიდრე მუშათა საბჭოს; ამასთანავე ახალი ქალაქის საბჭოში წარმოდგენილია არა მარტო სოციალისტური, არამედ ეგრედ წოდებული „ბურჟუაზიული“ დემოკრატია, და მაშასადამე აქ აუცილებელია ის „კლასთა თანამშრომლობა“, ურომლისოდ წარმოუდგენელია სახელმწიფო და საზოგადო საქმეების გაძღოლა.

ჩვენი ვალია, რომ ეს პროცესი კლასიურ ორგანიზაციათა, ავტორიტეტის შეცვლისა არა კლასიურ, კანონიერ დემოკრატიულ თვითმართველობით დავაჩქაროთ როგორც საქართველოს დანარჩენ ქალაქებში, ისე უმთავრესად—სოფლად.

რევოლუციის „გაღრმავება“ თუ არა, „გამაგრება“ მაინც მხოლოდ ამ წესით შეიძლება.

## ტანჯული ეკლესია.

რუსეთის რევოლიუციური მთავრობა არც ერთ უდიდეს სახელმწიფოებრივ მოვლენას არ მოჰპყრობია ისე მტრულად, როგორც ეს გამოიჩინა მან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისადმი. ამას ჩვენ მივაქცევთ ქართველი საზოგადოების ყურადღებას, როდესაც გამოქვეყნდა მთავრობის პირველი დეკლარაცია ამა წლის მარტის 27-ს. ყველას ეხსომება, რასაკვირველია, რომ დეკლარაციის საზოგადო მიდრეკილება სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმ აქტს, რომელიც თვით მთავრობამ აღნიშნა „საქართველოს ეკლესიის თვით-გამორკვევის უდიდეს აქტად“. ჩვენ მხოლოდ ვვაწუხებდა ის გარემოება, რომ იმ ხანის დროებითი მთავრობის შემადგენლობა ორგანიულად ვერ შეურიგდებოდა ძველ სლავიანოფილურ ტენდენციების დარღვევას და, მაშასადამე, ვერ იწამებდა იმ გვარ აქტებს რაც მათი აზრით, ჰფუშავს სახელმწიფოს მთლიანობას და ებრძვის ველიკოროსთა პოლიტიკურ უპირატესობას. ყველასათვის აშკარაა, რომ კადეტების სამინისტრო დიდი ყოყმანის შემდეგ დასთანხმდა გამოქვეყნებინა პირველი დეკლარაცია. მილიუკოვის პარტია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას პარტიული თვალსაზრისით სჭრიდა და ვერ შერიგებოდა იმ ფაქტს, რომ ეკლესია დამოუკიდებლობას მოითხოვს არა პოლიტიკური მოსაზრებით, არა იმიტომ, რომ რუსეთის რევოლიუციურ მთავრობამ ან დამფუძნებელ კრებამ მას უნდა მიანიჭოს ეს უფლება, ასე ვსთქვათ, საერთო განთავისუფლების მიხედვით, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობა მისპო აწ დამხობილ თვითმპყრობელობის მეოხებით, და რადგანაც დღეს რუსეთი საქვეყნოდ აღიარებს თავისუფლების დამყარებას და ყოველ-გვარ ძალ-მომრეობის სისტემაზე აგებულ წყობილებას უარ-ჰყოფს,—საქართველოს ეკლესიასაც, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჰქონდა კანონიერი უფლება გამოეცხადებინა status guo in ante, და ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ დიდებულ დაწყებაში მას ხელს შეუშლიდა სწორედ ის მთავრობა, რომელიც მოწვეულია რუსეთში რევოლიუციის დამკვიდრება გაღრმავებისათვის.

შემდეგ რაც მოხდა, კეთილად ვერ დაახასიათებს მთავრობას და მის აგენტებს: გავიხსენოთ მხოლოდ ბენეშევიჩის ავანტიურა, ის საშუალებანი, რომელთაც რევოლიუციურ მთავრობის კომისარმა მიმართა იმერეთის ეკლესიის დასამცირებლად, ის სამარცხვინო სხდომები, რომელზედაც კანონისტ—პროფესსორი უშფოთველად ისმენდა ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებებს, რომელთაც ვოსტორგოვ-გოროდცოვების ერთგული მონები უდიერად თავს ახვევდენ მრავალ-ტანჯულ ეკლესიას! ყველა ამაში ჩვენ სამართლიანად ამოვიკითხეთ რუსეთის მთავრობის ნამდვილი დამოკიდებულება ქართველი ერის ნების გამოსახულებასთან: ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჯერ კიდევ გძელ არის ეკლით მოსილი გზა, რომლითაც იძულებულია ვიდოდეს შესანიშნავ ისტორიის მქონე ეკლესია, ჩვენ გულის სიმწარით ვამჩნევთ, რომ წარმტაცი სიტყვები და მშვენიერი ლოზუნგები სამინისტროს კაბინეთებს არ სცილდება, ქვეყნად კი ისევ ძველი, ნაჩვევ მეთოდზე დამყარებული პოლიტიკა სწარმოებს.

ის შენობა, რომელსაც ხუროთ-მოძღვრობდა პროფესორი ბენეშევიჩი, დამთავრდა პირველი მარიამობისთვის დროებითი წესების გამოცხადებით. სამწუხაროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ რამდენჯერმე გულ-დასმით გადავიკითხეთ ეს წესები, ანუ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დებულებანი, და ვერ ვპოვეთ მასში ისეთი რამ მართლაც სასიხარულო, რის გულისთვისაც საგანგებო პარაკლისი უნდა გადახდილიყო მთავრობის სამრავალჟამიეროდ.

ორი მომენტი ახასიათებს ავტოკეფალიას: ტერიტორიალური პრინციპი და უზენაესი სასულიერო მართველობა კათოლიკოს-პატრიარქისა ტერიტორიის საზღვრებში; ყოველი სხვა მართლმადიდებელი დაწესებულება ამ საზღვრებში მოქცეული იმყოფება საპატრიარქო იურისდიქციის ქვეშ.—დროებითი წესები არღვევს ამ წმინდა კანონიურ ცნებას, რომელზედაც დამყარებულია აღმოსავლეთის პატრიარქია და კერძოთ საქართველოს საკათალიკოსო და ურომლისოდაც ვერ იარსებებს დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესია. „ყველა ქართველთა“ კათალიკოზ-პატრიარქს ადგილი არა ჰქონია მრავალ საუკუნო საქართველოს საეკლესიო ისტორიაში; ეს არის ვინმეს შეთხზული ტერმინი, რომელიც სულ სხვა შინაარსს აკუთვნებს საკათალიკოზოს და რომლის განხორციელებას უნდა ებრძოლოს საქართველოს ეკლესიის ყველა ჭეშმარიტი მოღვაწე. მაგრამ ავტოკეფალიის უფლებათა შეზღუდვა ამით არ თავდება, რევოლიუციური მთავრობა ცდილობს რაც შეიძლება ვიწრო ფარგალში მოამწყვდიოს საქართველოს ეკლესიური წყობილება და არარად აქციოს მისი მნიშვნელობა ფაქტიურად. ამ მიზნის მისაღწევად არსდება ამიერ-კავკასიაში რუსის სამიტროპოლიტო ფართო ფუნქციებით. ესეც არა კმარა: ახალი წესების ძალით უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს იგივე უფლებანი აქვს საქართველოს ეკლესიასთან დამოკიდებულებაში, რაც ჰქონდა მას საქართველოს საექსარხოსოსთან დამოკიდებულებაში, ესე იგი საქართველოს პატრიარქი გადაკვრით სინოდსაც ექვემდებარება, რადგანაც ობერ-პროკურორი საეკლესიო-კანონიურ სფეროში არის გამოხატული სინოდის დადგენილებისა. ყველა ამას რომ ზედ დაურთოთ ის, რომ ახალი დებულების ძალით კათალიკოს-პატრიარქი აწარმოებს მიწერ-მოწერას ყველა ავტოკეფალურ ეკლესიებთან, რომლებიც არსებობენ რუსეთის სახელმწიფოს საზღვრების გარეთ, გარეშე რუსეთის საქმეთა სამინისტროს შუამავლობით,—ყველასათვის ცხადზედ-უცხადესი იქნება, რომ 1 მარიამობისთვის საქართველოს ეკლესიის დროებითი წესები არამც თუ ეწინააღმდეგება საეკლესიო მეცნიერებაში მიღებულ ავტოკეფალიის პრინციპებს, არამედ გვიქადიან დიდ არეულობას საეკლესიო საქმეების წარმოებაში.

ნაცვლად სადღესასწაულო პარაკლისისა ენერგიული პროტესტით უნდა გამოსულიყო ქართველი საზოგადოებაც,—მას უნდა გამოეშკარავებინა, რომ რევოლუციის ტალღების მიერ ამოსროლილი სოციალისტური და დემოკრატიული თვის უმრავლესობით მთავრობა იმ დროს, როდესაც რუსეთის სახელმწიფო მეტად ღრმა და უზომო რადიკალურ გარდაქმნის პროცესს განიცდის, როდესაც ცხოვრების ყოველ დარგს ახალი ცხოველ-მყოფელი მზის სხივები ეფინება და მის სიმხურვალეში იწვის და ჰქრება დახავსებული, ადამიანის სულისა და გონების შემბოჭველი ძველი წესები, როდესაც ამხედრებული ხალხი ამსხვრევს მონურ ბორკილებს და აღტაცებით ეგებება თავისუფლების განთიადის საამურ სიოს,—იგი ამ ყოვლად შესანიშნავ დროს აწვდის ქართველობას, დოკუმენტს, რომელიც ბიუროკრატიის ზხამის ფრქვევას უფრო მოგაგონებთ, ვიდრე რევოლუციურ და დემოკრატიულ აზროვნების შედეგს.

**რ. ინგილო.**

## თბილისის ფინანსები

ამ საგანზე ამ დღეებში დაიბეჭდა თბილისის ქალაქის გამგეობის წევ. გ. დ. ჟურულის მოხსენება, რომელიც მოიწონა ქალაქის გამგეობამ და განსახილველად შეაქვს იგი ქალაქის ახალ საბჭოში.

კარგათ და გარკვევით არის შედგენილი მოხსენება, ხოლო მდგომარეობა თვით ფინანსებისა მრავალ გარდამავალ და გარდუვალ გარემოებათა გამო უფრო, ვიდრე ქალაქის მამების სიზანტისა ან სხვა რამ მიზეზით, ვერ არის კარგს მდგომარეობაში, და გაურკვეველია თვით მისი ახლო მომავალი.

მთელი 1917 წ. შემოსავალი ქალაქისა ნავარაუდევია 14.138.211 მან. და 49 კ. ნამდვილათ კი მოელიან, რომ შემოვა მხოლოთ 6.246.788 მან.

გასავალი ამავ წლისა ნავარაუდევია 10.380.042 მან.

მაშასადამე შემოსავალზე ზედმეტი ხარჯი, ანუ დეფიციტი, იქნება ქალაქს წელს 4.133.254 მანეთი.

რა ღონისძიება მიიღო ქალაქმა ამ დეფიციტის დასაფარავათ?

დღეს დღეობით ახალი გადასახადების შემოღებათ გარემოება ხელს არ უწყობს ქალაქებს, არსად და მით უფრო ჩვენში. ამიტომაც ქალაქმა მიმართა მომქმედ კანონისაგან ნება დართულ გზას—სესხს, რომელიც აიღო აქაურ მოკლე ვადიან ნდობის ბანკებისაგან.

სულ ისესხეს 5 წლის ვადით 4.000.000 მანეთი. აქედან სამ მილიონ მანეთს მოიხმარებენ წინანდელ მოკლე ვადიან სესხის კონვერსიისათვის, ხოლო დანარჩენ ერთ მილიონს მოახმარებენ წლევანდელ შემოსავალს.

უბლანდელი დრო, უმთავრესად ომიანობის გამო მარტო სახელმწიფოს არ აწევს მძიმე და საზარელი ტვირთათ. იგი უფრო ზარალს აძლევს ქალაქს. იმისთანა შემოსავლიანი წყარო მაგალითად როგორც ტრამვაი, რომელმაც ყოველმდე ავსო მელგიდლები ომამდე, დღეს 291.000 მანეთის ზარალს აძლევს ქალაქს.

ეს ზარალი გამოწვეულია უმთავრესად იმის გამო, რომ ომისგან გამოწვეულ სიძვირის გამო ქალაქი იძულებული იყო დიდათ მოემატებინა ტრამვაის მოსამსახურეებისათვის ჯამაგირები, და გარდა ამისა წარმოუდგენელათ აწეულ ფასებში ყიდულობს ყველაფერს, რაც სჭირდება ტრამვაის მეურნეობას.

რომ ომიანობისაგან გამოწვეული სიძვირე არა, ქალაქის მეურნეობა უმჯობეს მდგომარეობაში იქნებოდა და უფრო მეტს შემოსავალს მიიღებდა ტრამვაისაგან, სასაკლაოსაგან, ელექტრონის სადგურებისაგან და წყლის მილისაგან.

ეხლა კი ყველა ეს ოთხი შემოსავლის წყარო, ომის წინათ რომ მოგება აძლევდა ქალაქისათვის, დღეს ამდენს ზარალს აყენებს თბილისს:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ტრამვაი | 291.000 მან. |
| 2. | სასაკლაო | 95.143 „ |
| 3. | ელექტრ. სადგური (ელექტრონით ქუჩების განათება) | 196.000 „ 86.000 „ |
| 4. | წყლის მილი | 114.678 „ |
| | | სულ 696.821 მან. |

რამდენათ მოემატა ხარჯი ქალაქს ამ შემოსავლის წყაროებზე, რომელიც დღეს ზარალის წყაროთ გადაქცეულა მკითხველი დაინახავს შემდეგიდან:

| | ზედმეტი ჯამაგირი მოსამსახურეებს. | ზედმეტი სხვა ხარჯი |
|---|---|---|
| 1. ტრამვაი | 931,000 მ. | 900,000 მ. |
| 2. სასაკლაო | 57,700 „ | 136,000 „ |
| 3. ელექტრ. სადგური | 39,700 „ | 71,100 „ |
| 4. წყლის მილი | 118,000 „ | 289,300 „ |
| სულ | 1.146,400 მ. | 1.396,300 მ. |

მთელი ჯამი. 2.542,700 მან.

აი ეს 2.542,700 მან. ზარალი წმინდა მოგებათ დარჩებოდა ქალაქს, რომ ომი და მისგან გამოწვეული წარმოუდგენელი სიძვირე არა.

წლევანდელი წლის დეფიციტს გარდა, ქალაქს [illegible] აღევს მოკლე ვადიანი სესხები, წინანდელი წლების დეფიციტებისაგან გამოწვეულნი; ყველა ამ სესხებს დაფარვა უნდა.

ამასთანავე ცხოვრება მოითხოვს ისეთს ახალ ხარჯებს საზოგადოებრივ სამეურნეო საჭიროებათათვის, რომ ყოვლად შეუძლებელია ქალაქმა მათ ანგარიში არ გაუწიოს. და ეს კი აიძულებს ქალაქს სცადოს როგორც გადასახადების მომატება, ისე შემოსავლის აღძვრა, რომ გათანასწორებულ იქმნას მისი, სხვა ქალაქებთან ერთად, ფინანსიური უფლებანი.

გადასახადების მომატება ამ ჟამად არსებულ საქალაქო დებულების მიხედვით, შეიძლება უძრავ ქონებაზე, რაც შეფასებული იყო 1910 წელს, და მას, უძრავ ქონებას გადასახადი დადებული აქვს ამ შეფასების მიხედვით.

დღეს კი მათი ფასი და შემოსავალიც დიდათ მომატებულია. 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვით მთელი თბილისის უძრავი ქონება ახლანდელ ფასებით ღირს ასი მილიონი. ამ ღირებულობაზე, რომ ერთი პროცენტი გადასახადი დაედვას, ქალაქს შემოუვა ერთი მილიონი. და თუ შემოსავლის კვალობაზე გაეწერა ამ უძრავ ქონების გადასახადი მაშინ შემოსავალი მოიმატებს 400—350 ათასი მანეთით.

სხვა საგანი გადასახადისა, ისეთი, რომ შეეძლოს თვალსაჩინო შემოსავლის შემოტანა, დღეს-დღეობით არ არის, თუ საამისოთ ცალკე კანონი არ იქნა გამოცემული. თუ ასეთი კანონი გამოიცა, მაშინ ქალაქს შეიძლება მოემატოს შემდეგი შემოსავალი:

1) სახელმწიფო გადასახადი ქალაქის უძრავ ქონებაზე—500.000 მანეთი და 2) სახელმწიფო გადასახადი ქალაქის ბინებზე (квартирный налогъ) 242.000 მანეთი. გარდა ამისა ამ დღეებში მიღებულ მთავრობის განკარგულებისამებრ ქალაქს ემატება ყოველ წლიური შემოსავალი რკინის გზით შემოტანილ და გატანილ საქონელზე დადებულ საფუთო გადასახადიდან არა ნაკლებ 60.000 მანეთისა წელიწადში.

ქალაქს შეუძლია კიდევ პირდაპირი გადასახადების გარდა, მიმართოს ბაჟების (косвенный налогъ) მომატებას ტრამვაიზე, ელექტრონ-სადგურზე და სასაკლაოზე.

თუ ეს მომატება გადასწყვიტა ქალაქმა, იმ შემთხვევაში მომავალ 1918 წელს ქალაქის შემოსავალი მოიმატებს:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) | უძრავ ქონების შეფასებითი გადასახადისაგან | . . . | 350.000 მ. |
| 2) | ტრამვაის გადასახ. | | 2.300.000 „ |
| 3) | ელექტრონ | „ | 104.000 „ |
| 4) | სასაკლაოს | „ | 50.000 „ |
| 5) | საფუთო | „ | 60.000 „ |
| | | სულ | 2.864.000 მ. |

მაგრამ ეხლავე, დღესვე ეს შემოსავალი ქალაქის კასაში ვერ შევა, ამიტომ ც მიმდინარე ხარჯების გასაძღოლათ საჭიროა ქალაქმა მიმართოს ისევ სესხს ადგილობრივი ბანკებიდან.

მოსალოდნელია კიდევ, რომ ქალაქს მიეცემა უფლება დაადოს გადასახადები ფუფუნების საგნებს (თვალ-მარგალიტებს, ოქრო-ვერცხლის ნივთებს და ამ გვარებს), შეჰკვიდრეობით გადასულ ქონებას, ფასების უდიერათ აწევას მოგებაზე (незаслуженный приростъ цѣнностей) და სხვ., მაგრამ როდის მიეცემა ქალაქს ამის უფლება და რამდენი იქნება ამ საგნებისაგან შემოსავალი, ახლა თქმა შეუძლებელია ასე რომ, მიმდინარე ხარჯების და წინანდელ წლების დეფიციტების დაფარვა მომავალ 1918 წელსაც ის თავსატეხათ გაუხდება ქალაქს, როგორც ახლა აქვს.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 4. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** სროლაა, იაკობშტადტისა და ჯილინის მიმართულებით სროლა უფრო ცხარდება.

**რუმინეთის ფრონტი.** ოკნინის მიმართულებით მარიამობისთვის 3 ს დილით გერმანელებმა შეტევა განაახლეს. სლანიკის რაიონში დექსტაკულერის ქარხნის მიდამოებში მათ ენერგიული იერიშები მოჰქონდათ. უკანასკნელ პუნქტის ჩრდილოეთით და სამხრეთით გერმანელებმა თხრილები დაიჭირეს, მაგრამ რუმინელების მაშველმა ჯარმა განდევნა და თხრილები კვლავ ხელში იგდო. ფოკშანის მიმართულებით მარიამობისთვის 2-ს დამე მტერი სერეტსხისა და მუნტელიუშა იერიშებს აწარმოებდა. იერიშები მოჰქონდა ბგრეთვე მობილიცზე. ჩვენ [illegible] ვიგერიებდით. მოზილიცის რაიონში ჩვენები ჩრდილოეთისკენ წამოვიდნენ.

**კავკასიის ფრონტი.** უცვლელადაა.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მარიამობისთვის 3 [illegible] გეთში ბრიტანელ ჯართან ერთად დღის დილით იერიშები დავიწყეთ სტეენსტრატედან დიკსმიუდესკენ მიმავალ გზის ორსავ მხარეს ჩვენი ჯარი დიდის სისწრაფით და აღფრთოვანებით ეკვეთა მტრის აპარეზს და მიმდინარე სტეენბეკეზე გადავიდა. ჩვენი მასის მარჯვენა მხარეზე წინსვლას განაგრძობენ. ბილის სამხრეთით მტრის თხრილები დავიჭირეთ, მტრის 4 კონტრიერიში მარჯვედ [illegible]

# დღეს ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნებია.

## მოქალაქენო! მიეცით ხმა

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კანდიდატების სიას

# № 4

1. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—ექიმი, პუბლიცისტი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე—ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორი, თავმჯდ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების, საგუბ. ალმასრ. კომიტეტის წევრი, საეპარქიო-სასულიერო ალმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი.
3. **კვირკველია** დავით ბესარიონის ძე—ნაფიცი ვექილი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქტორი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
4. **პურადაშვილი** ივანე ისაკის ძე—მმართველი აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილებისა, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
5. **ხმალაძე** ლაზარე ვასილის ძე—პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **მაჭავარიანი** ზაქარია კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
7. **ბარათაშვილი** გრიგოლ საჩინოს ძე—ნაფიცი ვექილი, საგუბ. ალმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
8. **მახარაძე** რომანოზ ქაიხოსროს ძე—კომერსანტი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
9. **იაკობიშვილი** შიმშონ შალომის ძე—კომერსანტი.
10. **მოხეშვილი** ბართლომე პავლეს ძე—მრეწველი, ქუთაისის ვაჭართა მამასახლისი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
11. **ბარაბაძე** ნესტორ სერგის ძე—კომერსანტი.
12. **ელიგულაშვილი** არონ იაკობის ძე—კომერსანტი.
13. **ჯაფარიძე** ალექსანდრე რომანოზის ძე—პედაგოგი, ქალაქის სასურსათო კომ. თავმჯდომარე.
14. **ლორთქიფანიძე** ნიკოლოზ მერაბის ძე—ლიტერატორი.
15. **მარგველაშვილი** ტიტე თადეოზის ძე—ფილოსოფიის დოქტორი, პუბლიცისტი.
16. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი, პუბლიცისტი.
17. **ჩარკვიანი** აბესალომ სიმონის ძე—ექიმი.
18. **უიფიანი** სამსონ გიორგის ძე—პედაგოგი, პუბლიცისტი, საეპარქიო სასულიერო ალმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19. **კოკოჩაშვილი** შალვა ვასილის ძე—ექიმი.
20. **ყაუჩჩიშვილი** მარიამ იოსების ასული—ქალთა კერძო გიმნაზ. უფროსი.
21. **ლორთქიფანიძე** სიმონ ნიკოლოზის ძე—ექიმი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
22. **ხახტაძე** სერგო ლუკას ძე—იურისკონსულტი სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი, საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
23. **ქავჟარაძე** მიხეილ ივანეს ძე—კომერსანტი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24. **ცინცაძე** იაკობ თომას ძე—პედაგოგი, იურისტი, ბელეტრისტი.
25. **ოცხელი** იოსებ ივანეს ძე—ქართული გიმნაზიის დირექტორი, ქუთაისის საგუბერნ. სამოსწავლო კომისარიატის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
26: **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე—აგრონომი.
27. **რაზმაძე** ნიკოლოზ კირილეს ძე—მომრიგებელი მოსამართლე.
28. **გარსევანიშვილი** ალექსანდრე ალექსანდრეს ძე—პედაგოგი, სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარე, მწერალი.
29. **ჯორჯიკია** სპირიდონ ბესარიონის ძე—პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
30. **ჭოლოშვილი** გიორგი სიკოს ძე—ხელოსანი.
31. **უიფიანი** დავით ლუარსაბის ძე—ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი.
32. **მთავრიშვილი** თომა აბრამის ძე—პედაგოგი, კომერსანტი.
33. **ექსანოვი** ფრანცი გრიგოლის ძე —კომერსანტი.
34. **ხაბურზანია** ანტონ სტეფანეს ძე—უფროსი ნოტარიუსი.
35. **ნიჟარაძე** ალექსანდრე სიმონის ძე—პედაგოგი.
36. **ლოლობერიძე** დავით სიმონის ძე—დამზღვევ საზოგადოების „რუსეთის“ ინსპექტორი.
37. **ალავიძე** ალექსანდრე თომას ძე—მიწის მზომელი.
38. **გიორგობიანი** ვლასი დავითის ძე—წვრილი კრედიტის ინსპექტორი.
39. **ლორთქიფანიძე** მიხეილ ლევანის ძე—ექიმი.
40. **მაჭავარიანი** თომა სამსონის ძე—კერძო ვექილი.
41. **ოყრეშიძე** დომენტი თომას ძე—პედაგოგი, მწერალი.
42. **ჩარექოვი** იაკობ იოსების ძე—ექიმი.
43. **არსენიშვილი** იერონიმ მიხეილის ძე—სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.
44. **პატარიძე** პორფირე ივანეს ძე—ხელოსანი.
45. **ხანანაშვილი** იოსებ სოლომონის ძე—ჟურნალისტი.
46. **მეხხი** ისაკ ალმასხანის ძე—ხელოსანი.
47. **წერეთელი** ვლადიმერ ჯიბოს ძე—მრეწველი.
48. **გაბაშვილი** იასონ ბესარიონის ძე—პედაგოგი.
49. **მამალაძე** ტარასი დავითის ძე—პედაგოგი.

---

ვიგერიეთ. წამოვიყვანეთ 120 ტყვე, მათში ერთი ოფიცერი.

**მფრინავთა მოქმედება.** გიუტხელსტის ტყის ჩრდილო-დასავლეთით და ლიხტერველდეს სადგურს ჩვენი მფრინავები ყუმბარებს უშენდნენ.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი,** მარიამობისთვის 2. ოფიციალი. დღეს ჩვენ შევუტიეთ მტერს გიუგოს ტყემლის. ლოოსის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა აილო იერიშით მტრის პირველი სანგრები, წინსვლა გრძელდება. მტრის კონტრ-იერიში სავსებით მოვიგერიეთ. დარი წინანდებურად მღელვარე და წვიმიანია.

**ლონდონი,** მარიამობისთვის 3. ოფიციალი. დილით კანადის ჯარმა აილო იერიშით მტრის პოზიციები ლოოსის სამხრეთით და აღმოსავლეთით 2 მილის მანძილზე. 1915 წელში გერმანელების მიერ ძალზედ გამაგრებული და ჩვენგან ჯერ აუღებელი „701“ სიმაღლეები დღეს იერიშით ავიღეთ. ჩვენებმა მთელ ფრონტზე პირველ წყების თხრილები დაიჭირეს. სენტ-ოგიუსტის დასავლეთით ერთ მილის მანძილზე წინ წავიწიეთ. „70“ სიმაღლის გამაგრებულ პუნქტების გარდა ჩვენ ხელშია: სენილი, საბეტი, სენ ლორანი, რავოს ტყე და ჰიუგოს ტყის ნახევარი. მთელ დღის განმავლობაში გერმანელთა 5 იერიში მოვიგერიეთ. ხელთ ვიგდეთ 282 ტყვე მათში 15 ოფიცერი. იპრთან გერმანელების იერიში მოვიგერიეთ.

## გალტიის ზღვაზედ

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 2. საზღვაო სამინისტროს გამგე ლებედევი იტყობინება ტელეგრამით: „30 მკათათვეს, შუადღისას, კუნძულ ალანდის მიდამოებში, აფეთქდა და დაიღუპა მტრის ნაღმისაგან ნაღმოსანი „ლეიტენანტ ბურაკოვი“. მოხდა ეს სწორედ მაშინ, როცა მე და ფლოტის უფროსი სხვა ნაღმოსნებით ის იყო გავცდით ნაღმოსნის დაღუპვის ადგილს. დაიღუპა 1 აფიცერი და 22 მეზღვაური. დანარჩენები გადარჩნენ. დაღუპულ ნაღმოსნის კომანდა გმირულად იქცეოდა, მეზღვაურნი ერთმანეთს შველოდნენ, რომ გადაერჩინათ დაღუპვისაგან. ნაღმოსანი დაიძირა 11 წამში. შემდეგ ლებედევი იტყობინება ამბავს, თუ როგორ საშინელ სიბინძურეში და სასირცხო მდგომარეობაში ნახა მან მახლობელ ნავთსადგურში ბატარეია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას იქაურობა. როცა ნავთსადგურს მივუახლოვდით, იტყობინება ლებედევი, არავინ მოგვეგება, თუმცა წინათვე ვაცნობეთ მისვლის ამბავი. როცა ბატარეიაზე ავედით, საშინელ მდგომარეობაში ვნახეთ იგი: იქვე ზარბაზნების გვერდით იმდენი ნაგავი და ქვები ეყარა, რომ სრულიად შეუძლებელი იყო ზარბაზნების თავისუფლად მოხმარება. აღმოჩნდა ერთი უსახო და უთოფო მეზღვაური, რომელმაც განაცხადა, რომ ყარაული ვარო. ფლოტის უფროსმა ბრძანა საომარი განგაში მოეხდინათ, მაგრამ ბრძანების შესრულებას შეუდგნენ მხოლოდ მრავალჯერ განმეორების შემდეგ. აღმოჩნდა, რომ ტელეფონი არ მოქმედებს. გაგზანილმა შიკრიკმა ამბავი მოიტანა, რომ კომანდას სძინავსო. დილის 10 საათი კი იყო. დანარჩენებმა განაცხადეს, რომ არ გამოვალთ განგაშზე, რადგანაც წინადვე არავინ გამოგველაპარაკა ამაზედაო. ამ სახით ბრძანება საომარ განგაშზე არ შეასრულეს. გამოირკვა, რომ ტელეფონი არ მოქმედებს და არც მეცადინეობა სრულდებოდა, რადგანაც კომანდა მუდამ უარზე იყო. კომანდის ასეთი ქცევა და მიმართულება აიხსნება ზურგის უკანა პროპაგანდით. ტელეგრამა თავდება შემდეგი სიტყვებით: „სვინიდისის წმიდა მოვალეობათ ვსთვლი განვაცხადო, რომ სანამ მიღებული არ იქნება სასტიკი ზომები ასეთი პროპაგანდის წინააღმდეგ, არა თუ მარტო ფრონტზე, არამედ ზურგს უკანაც, იმ დრომდე უფროსებს არ შეეძლებათ აწარმოვონ საბრძოლველი საქმე“.

## სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო

**ინგლისელები დელეგატებს არ უშვებენ**

**სტოკჰოლმი.** მარიამობისთვის 2. სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მთავრობამ ინგლისის დელეგატებს პასპორტები არ მისცა. ამის გამო „ფორვერტსი“ სწერს: პასპორტების უარი იმის მომასწავებელია, რომ ინგლისის მთავრობას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს ომის დამთავრება მხოლოდ გერმანეთის შემუსვრით, და ამტკიცებს რომ დასავლეთის სახელმწიფოები რუსეთის ზავისკენ ლტოლვილებს ანგარიშს არ უწევენ. გაზეთის აზრით, ინგლისმა საერთაშორისო სოციალიზმს გამოუცხადა ომი.

**გიუისმანის განცხადება**

**სტოკჰოლმი.** მარ.-თვის 2. სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მდივან გიუისმანმა საუბარში განაცხადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების უარი პასპორტების მიცემის შესახებ მთავრობასა და სოციალ-დემოკრატების შორის განხეთქილებას ჩამოაგდებს. კონფერენცია მაინც არ გადაიდება. ამერიკელი დელეგატები სტოკჰოლმში არიან და ჰგონიათ რომ უეჭველად მონაწილეობა მიიღონ კონფერენციაში. რაც შეეხება რუსეთს—კერენსკის ჰგონია, რომ კონფერენციის გარდაწყვეტილება-დადგენილებათა უკანასკნელი განხილვა მას ეკუთვნოდეს. ამის საწინააღმდეგო არა გვაქვს-რა.

**საფრანგეთი და სტოკჰოლმის კონფერენცია**

**პარიზი.** მარიამ. 2. „პტი-ჟურნალი“-ს ფურცლებით პიშონი სამბალის და კაცობრიობის სახელით მოუწოდებს ყველას, რომ ყურადღება მიაქციონ სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობის საფრთხეს. „პტი-პარიზენ“-ი პასპორტების მიცემაზე უარის განცხადების გამო აცხადებს, რომ ამაზე საფრანგეთის სოციალისტები არც თუ დიდ სინანულს გამოსთქვამენ. მათ სურდათ, რომ იქ ომზე პასუხისმგებლობის საკითხი დაესვათ, მაგრამ ის დავალება, რომელიც მიხაელისმა დაუხატა გერმანელ დეპუტატებს—სრულიად სპობს ფრანგებისათვის კონფერენციაზე მონაწილეობის საკითხს.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ბილეთები მოსკოვის თათბირზე დასასწრებლად**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 4. მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე შესასვლელად ბილეთებს გასცემენ მოსკოვში 11 და 12 მარიამობისთვეს. დამსწრეთ თან უნდა იქონიონ წარმომადგენლობის მოწმობა. თათბირზე მოწვეულნი არიან სახელმწიფო სათათბიროს ოთხივე არჩევის წარმომადგენელნიც, ხოლო, რადგანაც არ იციან მომეტებულ მათგანის მისამართები, ცალკე ბარათები არ გაეგზავნებათ.

**ვაჭარ-მრეწველთა მე-2-ე ყრილობა.**

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 3. დღეს სრულიად რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა მე-2-ე ყრილობა დაიწყო. ყრილობას 800 კაცი დაესწრო. რიაბუშინსკიმ ყრილობას სიტყვით მიმართა. მან აღნიშნა ზურგისა და ფრონტის უმწეო მდგომარეობა, რაშიაც ბრალს მთავრობასა და ჯარისკაცთა დეპუტატებს სდებდა, და მოუწოდა ვაჭრებს, რომ მათ მტკიცეთ გადაეწყვიტნათ რუსეთის ხსნა.

## უაზახთა წარმომადგენლების კონფერენციის რეზოლიუცია

**ნოვოჩერკასკი.** მარიამობისთვის 2. (დასასრული). თუმცა მთავრობა ხმარობს ყოველ საშუალებას, რომ ყველაფერი მოაწესრიგოს, რუსეთი მაინც იმყოფება ანარქიულ მდგომარეობაში. ქვეყნის მაცოცხლებელი ძალები იშრიტება და სახელმწიფო მიექანება სრულ დაშლისაკენ. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ჩვენ, ყაზახობა, რევოლუციის დასაწყისიდან ვსდგევართ სახელმწიფოებრიობის ნიადაგზე, მედგრად ვეწინააღმდეგებოდით ყოველ გამხრწნელ ძალას და მარად მზად ვიყავით დაგვეცვა არსებობა და მთლიანობა დიდი სამშობლოსი და გადუჭრელად მხარს ვუჭერდით დროებით მთავრობას,—ყაზახობა დღესაც, ამ მძიმე წუთშიაც მოუწოდებს ქვეყნის ყველა სად საეროპო და საქალაქო ძალებს შეკავშირდენ ადგილობრივ ყაზახების მსგავსად და ასე შეკავშირებულნი, როგორც ერთი კაცი, აღსდგნენ მამულის დასაცველად და მოსაწყობად სრულ დემოკრატიულ საფუძვლებზედ. რადგანაც ახლო მომავალში მოსალოდნელია ლტოლვილთა შემოსევა ჩვენს მხარეში, შესდგეს ახლავე ყველგან სასურსათო ორგანიზაციები და ეთხოვოს მცხოვრებლებს დაიცვან ეკონომია ცხოვრებაში. ყაზახთა თათბირი სასარგებლოდ სცნობს, რომ უწყებულ, დანიშნულ დროს იმართებოდეს ყველგან მთელს ოლქში და სოფლებში კონფერენციები, რომლებზედაც ევალება ყველას ფართოდ გააცნონ მცხოვრებნი და ჯარები ქვეყნის მდგომარეობა და საჭიროებანი.

## დროებითი მთავრობის დადგენილება

კერენსკის თავმჯდომარეობით შემდგარ სხდომაზე დროებით მთავრობამ დაამტკიცა: 1) მიღებულ იქნას კანონი დასჯილთა ვადაზე ადრე პირობით განთავისუფლების შესახებ.

2) იმ საგანგებო კომისიის აქტებს, რომელიც ვიტებსკის საგუბერნიო მმართველობას შესანახად გადაეცა და სახელმწიფო საქონლის ჯოგის დაღუპვას შეეხება—წინასწარ გამოძიების აქტების ძალა და მნიშვნელობა მიეცეს.

3) ნება დაერთოს ადგილობრივ მთავრობის მოხელეთ, რომ მათ ჩეხელთა და სლოვანელთა ეროვნების პირებს რუსეთის სახელმწიფოში საცხოვრებლად მოწმობები აძლიონ. (მოწმობა არ მიეცემათ ტყვეებს, მძევლებს და ჯაშუშობაში შენიშნულ პირებს).

4) შესწორდეს სამხედრო კონტრაბანდის საგნების სია.

5) გაუქმდეს პროექტი იმ კანონისა, რომლითაც სადგილ-მამულო კომიტეტებს სათემო საქმეების განხილვა ევალებოდა.

6) მიეცეს ვაჭრობის მრეწველობის და მიწად-მოქმედების სამინისტროებს თიბათვის (სესხი?) კაბინეტების საქმეთა საწარმოებლად, ალტაის და კერჩინის მხრის სამმართველოდ, ფაიფურის ქარხნებისთვის და პეტერგოფის და ეკატერინბურგის ჩამოყალიბებულ ქარხნებს.

7) მიღებულ იქმნას მტრის თავდასხმით დაზარალებულ მცხოვრებთა ფინანსიურ დახმარების წესი.

8) მიეცეს ვოლინის საგუბერნიო ერობას 2.000.000 მ. იმ დანახარჯის ასანაზღაურებლად, რომლითაც მან ომში დაზარალებულთ აღმოუჩინა დახმარება.

9) დადგენილია: ალექსანდრეს სახელობის ლიცეი სახალხო განათლების სამინისტროს დაექვემდებაროს და წინადადება მიეცეს იუსტიციის მინისტრს, რომ მან კანონთ-მეტყველების სასწავლებლების ხსენებულ უწყებაში გადასაცემად თხოვნა აღძრას.

10) მხედველობაში იქმნას მიღებული ობერ-პროკურორის ცნობები მარიამობისთვის 15-სათვის მისაწვევ განსაკუთრებით ადგილობრივ საეკლესიო კრების შესახებ.

11) დამტკიცებულ იქმნას ფინანსების მინისტრის განკარგულება, რომელიც სახელმწიფო მიზნების განმახორციელებელ უმაღლეს საბჭოს ხარჯებისათვის 8.000.000 მანეთის გადადებას შეეხება.

12) გაუქმებულ იქმნას სოფლის საზოგადოების განაჩენით გადასახლება.

13) მიეცეს დროებით მთავრობის თურქესტნის კომიტეტს მმართველობის საორგანიზაციოდ 50.000 მანეთი.

14) მოხდეს შეკითხვა საოლქო მთავრობის მოხელეებისა 1899 წ. ჩამორთმეულ მიწის ანდიჟანის მაზრის ხანკეთის სოფლის საზოგადოების მცხოვრებთა ხელში დაბრუნების საკითხზე.

## ეროვნული საკითხი

**გაფიცვა ფინლიანდიაში.**

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 3. ჰელსინგფორსის საერთო გაფიცვა შესწყდა.

**სენატის კრიზისი.**

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 3. სენატის კრიზისი გრძელდება. გენერალ-გუბერნატორი მიდის პეტროგრადს მოახსენოს დროებით მთავრობას საქმეთა მდგომარეობა ფინლიანდიაში. იგი არ ეჭვობს, რომ მთავრობა უარს ეტყვის გაფიცვის კომიტეტს, რომელიც მოითხოვს სოციალისტურ სენატსა. სტახოვიჩის დაბრუნებას მოელიან შაბათს, და მაშინ გადასწყდება საკითხი სენატის შედგენის შესახებაც. საერთო გაფიცვა ჰელსინგფორსში დასრულდა.

**სეიმის საბიუჯეტო კომისიის სხდომები.**

**ჰელსინგფორსი** მარიამობისთვის 3. სამშაბათს საღამოს განახლდა სხდომები სეიმის საბიუჯეტო კომისიისა. სხდომის გახსნის წინ, ძველ ფინელთა პარტიის წარმომადგენელმა სალსტენმა განაცხადა: „სხდომა უკანონოა, რადგანაც ფინლიანდიის სეიმი დათხოვნილია მანიფესტით და, მაშასადამე, არც სეიმის კომისიებს აქვთ უფლება შეკრებისაო“. სთქვა ეს და მიატოვა სხდომა. კომისიაში დარჩნენ ს.-დემოკრატები, აგრარიები და ქრისტიანი მუშები. გუშინ მოხდა გაგრძელება საბიუჯეტო კომისიისა.

**მიწის საკითხის გადაწყვეტა უკრაინაში.**

**კიევი.** მარიამობისთვის 2. გაიხსნა ხუთი გუბერნიის საოლქო კრება სოციალ-დემოკრატებისა (მეუმცირესეთა). წარმომადგენელთა რიცხვი ასზე მეტია. მიწის შესახებ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც ისპობა კერძო საკუთრება მიწაზე მიწის ნაციონალიზაციით, მთავრობისგან შეფასებით და გამოსყიდვით, რათა ამით აცილებულ იქმნას ეკონომიური რყევა ცხოვრებისა და ექსპროპრიაცია. მიწები უნდა მიეცეს სახმარად ანუ სრულ საკუთრებად მცირე მიწიანებს და იმათ, ვისაც სრულიად არ გააჩნიათ მიწები.

## რუსეთი და უცხოეთი

### არეულობა ესპანეთში

**მეამბოხეთა მოქმედება**

**პარიზი.** მარიამობისთვის 3. მადრიდიდან იუწყებიან, რომ ბარცელონაში მეამბოხეთ კერძო სახლიდან სროლა აუტეხიათ და მსროლელთა რაზმის კაპიტანი მოუკლავთ. მეამბოხეთ ბევრი დაჭრილ-დახოცილები ჰყავთ. საბადელლაში მოუკლავთ 2 ჟანდარმი, დაუჭრიათ 3. მისაშველებლად გაიგზავნენ. დატომ განაცხადა, რომ საყოველთაო გაფიცვა მარცხით დამთავრდაო. მადრიდის მახლობლად მძიმედ დაუჭრიათ 2 ჟანდარმი. პროვინციაში მრავალი დააპატიმრეს.

**გაფიცვა და უწესოებანი**

**მადრიდი.** მარიამობისთვის 3. საზოგადო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: რკინის გზის მოძრაობა ჩვეულებრივ დაიწყო. ბილბაოში ჯავშნოსანი „ალფონს XIII“-ე მოვიდა. ბარცელონაში ყველა გაზეთები გამოდიან. ელიან ჯავშნოსან „ესტრამადურას“, რომელიც ესპანეთის მიერ შეძენილ წყალქვეშებს მოჰყვება მცველად. კატალონიაში მდგომარეობა სერიოზულია. გაფიცვა მთელს ოლქში ვრცელდება. მარიამობისთვის 2 მცხოვრებლებმა მუშაობა შესწყვიტეს. უწესოებაა მატარორა, რაბადელლეში და ტარასში. ასტურიაში მდგომარეობა გამწვავდა. გაზეთების გამოსვლა შესწყდა. მიღებულია მკაცრი ზომები.

## უკანასკნელი დეპეშები

ხმებია, რომ ყოფილი მეფე და მისი ოჯახი ინგლისს გაიგზავნა. ზოგიერთა ცნობებით-კი იგი აღმოსავლეთისკენ გაგზავნეს.

—

მოელიან სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას.

—

ხერსონის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო რუმინიის მეფის სახლობის ხერსონში გადაყვანაზე პროტესტს აცხადებს.

—

მიხაილ ალექსანდრეს ძემ ინგლისში წასვლაზე უარი განაცხადა.

—

სტახოვიჩი ფინლიანდელებს სურსათის შეტანის შეწყვეტით დაემუქრა ამის გამო ჰელსინგფორსში გაფიცვა შესწყდა. იმ შემთხვევაში თუ სეიმს მოიწვევენ, იგი ძალით იქმნება გაფანტული.

## ქრონიკა

### თბილისი

**პურის ბარათები.** მარიამობისთვის 7-დან შემოღებულ იქნება პურზე ბარათები. უბარათოდ პურს ვერავინ მიიღებს. ბარათების მიღება შეიძლება საუბნო სასურსათო კომიტეტებთან საჭირო პიროვნების მოწმობა ან და შაქრის ბარათი.

**ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა.** თბილისის ახალი საქალაქო საბჭოს პირველი საგანგებო სხდომა დანიშნულია მარიამობისთვის 7-ს, ორშაბათ საღამოს.

**გ. ზდანოვიჩის გარდაცვალების გამო.** ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებამ გადასწყვიტა გიორგი ზდანოვიჩის გარდაცვალების გამო გვირგვინის ნაცვლად შესწიროს რომელიმე კულტურულ დაწესებულებას 100 მან. ამავე საზოგადოების დავალებით ქუთაისში გ. ზდანოვიჩის დასაფლავებაზე დასასწრებლად იგზავნება ნინო ნაკაშიძე.

**ტეხნიკოსთა ყრილობა.** მოკლე დროში თბილისში მოწვეულ იქნება ამიერ-კავკასიის ტეხნიკოსთა ყრილობა. მოწვევის კომიტეტი უკვე არჩეულია.

**ოსების კრება.** კვირას, მარიამობისთვის 6 ქალაქის სანერგეში მოხდება საერთო კრება ოსების საკულტურულო-განმანათლებელ საზოგადოებისა.

### კავკასია

**სამხედრო ცენზურა ამიერ-კავკასიაში.** სამხედრო სამინისტრომ აცნობა ამიერ-კავკასიის სამხედრო შტაბს, რომ ამიერიდან შემოღებულ უნდა იქნას სამხედრო ცენზურა. აკრძალულია კერძო ცნობების მოთავსება ჯარის ნაწილების მდგომარეობაზე, ფრონტის ვითარებაზე, საზღვაო ფლოტზე და სხვ. თუ რომელიმე გამოცემას მოუვა რომელიმე სამხედრო მნიშვნელოვანი ცნობა, მაშინ ის მოვალეა ეს ცნობა წინდაწინვე წარადგინოს სამხედრო შტაბის საცენზურო განყოფილებაში და მხოლოდ მისი ნებართვის შემდეგ გამოაქვეყნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი დაისჯებიან.

**სურსათის მოტანა.** მარიამობისთვის 4, თბილისის სადგურზე 4 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი შაქარი მოვიდა.

**ზედამხედველობის დაწესება კინემატოგრაფის სურათებზე.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი ავალებს გუბერნიების, საოლქო და სამაზრო კომისრებს თვალ-ყური ადევნონ კინემატოგრაფის სურათებს და თუ რომელიმე სურათში ამა თუ იმ სარწმუნოებას ამცირებდეს, წარმოდგენა აკრძალონ.

**№ 1 ჟურნალი „შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტისა“.** მივიღეთ პირველი ნომერი ჟურნალ „შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტისა“. ჟურნალში მოთავსებულია საწინასიტყვაო წერილების გარდა პირველი გაკვეთილი ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა, არითმეტიკისა, ბუნებისა და მსოფლიო ცნობებისა და სხვ. ჟურნალი გამოვა თვეში ერთხელ და ღირს 5 მან. წლის დამლევამდე.

## გერმანეთის შტაბის ცნობა

### დასავლეთის ფრონტი

**კრონპრინცის რუპრეხტის ჯარის ფრონტზე.**

ფლანდრიაში დილით ცეცხლით მოქმედება ძლიერი იყო და საღამოს ზოგიერთ ნაწილებში, უფრო გაძლიერდა. ღამით და დღეს დილით ინგლისელებმა ძლიერად შემოუტიეს ჩვენს პოზიციებს იპრ-მენინისა და ვერტე-ლისის გზებს შორის, მაგრამ ყველგან მოვიგერიეთ. ჩვენმა მზვერავებმა მოიყვანეს ბევრი ტყვე. ჩვენი ფრონტის წინაში 25 დახვრეტილი ჯავშნოსან ავტომობილებიდან მოვხსენით რამდენიმე ტყვის მტყორცნელი. დანარჩენ ჯარში, მთელი დღის განმავლობაში, ცეცხლით მოქმედება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ვესროდით მეიდნებს, რაიცა გაძლიერდა საღამოსაც ლაბასეს არხს და სკარპს შორის და აგრეთვე შემენ დედამისა. ჩვენი მოწინავე ნაწილების შებრძოლებებმა კარგად ჩაიარა ჩვენთვის.

### აღმოსავლეთის ფრონტი

**პრინც ლეოპოლდ ბავარიელის ჯარის ფრონტზე.**

ფ. ბემ-ერმოლლის ჯარი: ადგილობრივი შებრძოლებანი. დნესტრისა და პრუტს შუა რუსები კვლავ მოიმხედნენ საბრძოლველად.

**ჰერც ჰერცოგის იოსების ჯარის ფრონტზე.**

ჩერნოვიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი ჯიუტობს და გვეძალება; წინსვლა გრძელდება. ჩვენ ავიღეთ დაბა სერეტის წინ და სასტიკ

ბრძოლების შემდეგ ავიღეთ რადაუცი. მოლდავას ორივ ნაპირზე და ბისტრიცას აღმოსავლეთ ნაპირზე რუსების მოწინავე ჯარებს წავართვით რამდენიმე პოზიცია მაღლობებზე. რუმინელების განმეორებული იერიშები კაშინულის მთასთან მოვიგერიეთ და მტერი დიდი ზარალით უკუვაქციეთ.

**ფ. მაკენზენის ჯარი ფრონტზე.**

მთებსა და დუნაის, შორის ზოგიერთ ნაწილებში, ბრძოლები გაცხოველდა.

# პატარა ფელეტონი

## მემკვიდრეები

ტახტზე თმა-გაწეწილი წევს დედა და ცხარე ცრემლებსა ღვრის. აქვე, მის გარშემო, მისი უფროსი და უმცროსი ვაჟები ერთმანეთს ეკამათებიან და ლამის დაჰამონ ერთმანეთი.

—

**უფროსი ვაჟი** (უმცროს ძმებს). დედაც ფეხებზე გკიდიათ თქვენ, სახლიც, კარიც... დედიჩემის შვილები კი ხართ, რა ვიცი? სანამ მამინაცვალი ცოცხალი იყო, აქეთ-იქით დაძრწოდით...

**უმცროსი ძმები.** შენ კი ამ დროს კისერს ისქელებდი! ჯერ მემკვიდრეობის ანგარიში ჩაგვაბარე, ჯერ მამულდედულს გაგვისწორდი...

**უფროსი ძმა.** თუ მამინაცვალმა დაგიტოვათ რამე,—მიირთვით, თუ არა და ჩემ სარჩოსთან რა გესაქმებათ? ხელი ფაფას! ნელა იარეთ, რომ ჩემი წილიდან არა მოგართვათ რა!

**უმცროსი ძმები.** „მოლა ნასრედინა ჯოჯოხეთში არ მიდიოდა, ხელი ჰკრეს და ჩააგდესო!" ჯანიც არ გაგვარდება, რომ არ დაგვემორჩილდე?!

**უფროსი ძმა** (მუქარით). არც ეგრე უძლური ვარ, როგორც გგონიათ!

**დედა** (თვალცრემლიანი). დამშვიდდით, შვილებო, დაწყნარდით, შერიგდით... მტრის გასახარელ საქმეს რათ სჩადით? რა დროს აურ-ზაური და ჩხუბია, ლამის მეზობლებმა აგვიკლონ და ღობე-ყორე შემოგვანგრიონ! მე მაინც არ გებრალებით, დედა მაინც არ გიყვართ?!

**უფროსი ვაჟი.** განა მაგათ დედის ყადრი იციან, განა ჯიგარი აქვთ და ტკბილ გრძნობას იცნობენ?

**უმცროსი ძმები.** შენ ემანდ ენა იკმინდე! მაგისთანა ლათაიებით თვალებს ვერ აგვიხვევ!

**უფროსი ვაჟი** (განაგრძობს). უსწავლელები, რეგვენები, ველურები! კიდევ მეტი რა აგონდებათ მაგათ! სულ ოთხი-ხუთი თვეა, რაც სახლში დაბრუნდნენ, და რას ჰგავს აქაურობა? ნამდვილ სალოროს დაემზგავსა მთელი ჩვენი სახლი! მამინაცვლის კაბინეტი ცალკე დაიჩემეს, ზალა, „გასტინა"... ან სურათებში რა გესმით, რომ კედლებიდან ჩამოგიღიათ და ფეხ-ქვეშა სთელავთ?! რა გაქვთ საერთო ხელოვნებასთან?!

**უმცროსი ძმები** (მბრძანებლურის კილოთი). ჩამოიღე, ჩამოიღე, ჩვენი სურათები უნდა დავკიდოთ!

**უფროსი ვაჟი.** „ვერა შეჰხდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი!"— სწორეთ თქვენზე ითქმის!

**უმცროსი ძმები** (მუშტს უღერებენ). შენ ემანდ ენა იკმინდე, თორე...ე! გეყო, რაც შენ იპარპაშე, ახლა ჩვენი ჯერია!

**მოურავი** (შემორბის გულ-გახეთქილი). ბატონო, აღარ შემიძლიან, მოხედეთ ე თქვენ ავლა დიდებასა... მეზობლის ბიჭებმა მთლად აიკლეს და გაანადგურეს თქვენი არე-მარე...

**დედა** (თმა-გაწეწილი წამოხტება). არიქათ, შვილებო, მიპატრონეთ, გენაცვალეთ, თორე ცარიელზე დავრჩებით! რა დროს ჩხუბია და დავიდარაბა, ეხლა გვშართებს ერთობა!

**უფროსი ვაჟი.** ეგენი ჩამომაშორე და მე გაუძლებდი მეზობლებსა!

**უმცროსი ვაჟები.** შენ რა წითელი კაკა ხარ, რომ მარტო შენ გასცე ოჯახს პასუხი?!

**უფროსი ვაჟი.** მაშ, აბა მარტო თქვენ გაუძეხით ყველაფერს! მე ხელსაც არ გავანძრევ! მთელი მოსამსახურე თავზე წამომასვით, დომხალივით აურიეთ ყველაფერი...

(შემორბის სახე-შეშლილი ბიჭი).

**ბიჭი.** ქალბატონო, ქალბატონო!.. მეზობლის ბიჭებმა ღობე აანგრიეს, ჯოგი გაირეკეს, მთელი მოსავალი ურმებზე დააწყეს და წაიღეს...

**დედა** (ორთავ ხელებს თავში შემოიკრავს). ვაიმე, დაღუპული ოჯახო!!! (დაეცემა და გული წაუვა).

**უფროსი ვაჟი.** (მივარდება უმცროს ძმებს). ხა, ეს არ გინდოდათ, ჩაკალით დედა, ჩაკალით დედა?!

**უმცროსი ძმები.** რა დროს ეგენია, წამო დავეწიოთ და უკან წავართვათ! (ქუდს დაავლებენ ხელს და მირბიან).

**უფროსი ვაჟი** (მისძახის). კისერიც გიჩხიათ ახლა! „ურემი რო გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო!" (მივა და ასულიერებს დედას) დედილო, გენაცვალე, გული დაიმშვიდე, თავს ნუ იკლავ, ყველაფერი გამოკეთდება... თუ შენ არ იქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნება... ან სიცოცხლე, ან სარჩო რაღათ მინდა მაშინა...

**დედა** (ცხარე ცრემლით მოსთქვამს). ეხ, შვილო, იმ თავით ამ თავამდინ უბედური ვიყავ და ვარ! ავყია ქმრის ხელში ვერ გავიხარე, ერთი დღე სიტკბოებით ვერ გავატარე და შვილების ხელში უარესი დღე დამადგა! ზოგი გამოუყოფას აპირებს, ზოგი ჩემ ძვლებსა სჭამს და მეზობლებზე მყიდის, ზოგი ჭიპ-კოკონას მინთებს სახლში! რომელი ერთი მოვითმინო, რომელი ერთი ავიტანო? ესე აოხრებული, დამცირებული და აწიოკებული ჩემი ოჯახი თავის დღეში არ ყოფილა! ბარე მოვკვდე, გავთავდე, რომ ამ დამცირებას არ მოვსწრებოდი! (პირქვე ემხობა და ტირის).

**უფროსი ვაჟი** (ქუდს დაავლებს ხელს). წავალ, დედი, შენი გულისათვის წავალ და ერთხელ კიდევ ვეცდები, რომ იმათი გაფუჭებული საქმე გამოვასწორო... (გადის).

ნ. აზიანი.

# საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

## შიხხმა

**თქმული აგვისტოს ხამს ხამადლობელო პარაკლისის გადახდის წინ რუსეთის დროებითი მმართველობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამტკიცების გამო**

მოძღვარნო ქრისტესნო, სულიერნო შვილნო, ქრისტეს მიერ დედებო და დებო! დასტკბით, გაიხარეთ, აღფრთოვანდით და ყველამ ხალისით აღუღერეთ საღმრთო სიხარულის გულის სიმები. შესრულდა თვითეული მორწმუნე ქართველის დიდი ხნის იდუმალი გულის წადილი: გარეშეთაგან ზღაპრად ცნობილი მიჩნეული ქართული ეკლესიის თავისუფლება, მართალია, შეცვლით, ჩვენ რომ გვინდოდა არა სრულებით იმ სახით, მაგრამ მაინც უკვე არსებული ფაქტია დღეს; ივერიის ეკლესიის თვითთაობამ, თუმც შეკვეცით, მაგრამ მაინც ხორცი შეისხა; მკათათვის ოცდა ხუთ რიცხვს რუსეთის დროებითმა მმართველობამ დაადასტურა ჩვენი ეკლესიის კონსტიტუცია და ეს აწმავე ციური ზარის ჩამორეკვით ფინება საქართველოს.

დღეიდან ჩრდილოეთი ვეღარ გასჭედავს ქართველი კაცის სინიდისისა და რწმენისათვის შემზარავ ბუნდებს, დღეიდან სვეტი-ცხოველში, სიონში, ალავერდში, გელათში, მარტვილში და სხვაგან აღარ ექნება უცხო ენაზე მღვდელმსახურებას და ქადაგება-მოძღვრებას, ამიერიდან ქართველი ეკლესია ხელახლა შეექსოვ-შეედულა პირველისა და მეორე ანტონ კათალიკოსთა დროინდელი ეკლესიის სხეულს და, ცხადია, ამის შემდეგ თანდათანად გასცდება მას ის ჭრილობები, რომლებითაც იგი ასე დასახიჩრებულია დღეს უცხოელთა საზიზღარი გავლენის მიზეზებით. ეს ქართველთა საყვარელი სიონი, გუშინ ლეჩაქ-ახდილი და შეურაცხყოფილი, დღეიდან, ივერიის საუკუნითგან მფარველის ღვთისმშობლის მეოხებით ხელახლა შეიმოსავს სახელსა და დიდებას, სამშობლო ენაზე სასოებიანი წირვა-ლოცვით და მოძღვრება-ქადაგებით გულს გაგვითბობს დიდსა და პატარას და სულ ჩქარა შემოგვკრებს თავს გარშემო, „ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეებთა თვისთა".

დღეიდან ქართულ ეკლესიაში წმიდა გუნდრუკად დაეკმევა ჩვენი მნათობების— წმ. ნინოსი, ქეთევან დედოფლისა, დავით აღმაშენებელისა, თამარ მეფისა, გაბრიელ, იოანე, ექვთიმე, და გიორგი მთაწმიდელების მიმართულება და ამას შედეგად მოჰყვება გულადი, მხნე, განვითარებული და აზრიანი ახალგაზდა საქართველო.

დღევანდელისთანა დღის შექმნას შეეწირნენ ზვარაკებად ფილადელფოს კიკინაძე—შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონი, ცნობილი მწიგნობარ-მგალობელი არქიმანდრიტი ტარასი და უკეთილშობილესი ქართველი დიმიტრი ყიფიანი. ამ დღეს ნატრულობდნენ და უგალობდნენ გრიგოლი და ვახტანგ ორბელიანნები, გიორგი და რაფიელ ერისთავები, დიდი ილია ჭავჭავაძე, უკვდავი აკაკი და სხვ.

ჩვენ, ჩვენ გვარგუნა განგებულებამ საღმრთო წილად ჩვენი ბეთლემის გამობრწყინების ამბის გაგონება და ხილვა და ამან გამაბედვინა თქვენი მოწვევა ტაძარში მხურვალე მადლობის შესაწირავად ზეციერი მამისადმი, რომ ღირსგვყო ესოდენი ბედნიერებისა.

მაგრამ ეკლესიის განთავისუფლებით ჩვენ პირველი ნაბიჯი გადავდგით თავისუფლებისაკენ, ნისკარტი ვკარით და მარტო გავზზარეთ ტლანქი ნაჭუჭი მონობისა. თავისუფლებას მოკლებულ სამშობლოში თავისუფალი ეკლესიის მდგომარეობაც საბრალისია. ამიტომ დიდმა და პატარამ ნათლად შევიგნოთ, რომ დღეიდან ამ წმ. ნინოს სხივმფენი ჯვარის მუდმივი ჩვენდამი ძახილი იქნება ის, რომ ჩვენმიერ განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ სამშობლო ეკლესიას ურღვევლ ზღუდედ და გალავნად გარს შევუდგეთ და მოვაქლოთ პოლიტიკურად თავისუფალი საქართველო.

ისმინეთ ესე, სამშობლოს ძენო და ასულნო, და მიყავით ყური თქვენი!

ეპისკოპოსი **ლეონიდი.**

# წერილი რედ. მიმართ

(პეტროგრადის აჯანყების გამო)

პატივცემულო რედაქტორო! № 152 თქვენი პატივცემული გაზეთისა დაბეჭდილია, რომ 33 გრენადერის პოლკის სათადარიგო ბატალიონში აღმოჩნდა „მძიმე ზარბაზნები, რომელთა არსებობა არ იცოდნენ ბატალიონის აფიცრებმაო".

ვაცხადებ, რომ ეს ზარბაზნები ბატალიონში იყო რევოლუციის წინადაც და დარჩა იქ საარტილერიო ზვოდის დაშლის შემდეგ პოლკის სასანგრე ზარბაზნების [illegible] არსებობაზე იცოდნენ [illegible] აფიცრებმა. გამოუყენლობის გამო მეორე დღეს დაბრუნებულ იქმნენ და ამ საათში ჰყრია მეიდანზე. როგორც ოფიცერი ბატალიონისა და თავმჯდომარე ოფიცერთა კრებულისა ვაცხადებ, რომ მოყვანილი ცნობები სწორი არ არის.

პატივისცემით პოდპორუჩიკი

მაჭავარიანი.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

# ტფილისის საქალაქო არჩევნების ცხრილი

## რამდენი ხმა მიიღეს პარტიებმა

| №№ რიგზე | საარჩევნო უბნები | 1 სოც.-დემ. | 2 ნაც.-დემ. | 3 სოც.-რევ. | 4 დაშ-ნაკ. | 5 ს.-ც.-ფედ. | 6 ნაცი-ლიბ. | 7 კა-დეტ. | 8 ს.-ე. მოლ. | 9 იბრა ეკიბ. | 10 ვენიზ-ოსტ. | 11 მუ-სულ. | 12 და-შნ. | ხ ე ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საბურთალო | 520 | 6 | 6 | 9 | 20 | — | 9 | 2 | — | 1 | 9 | — | 652 |
| 2 | ვაკე | 14 | — | 1 | 3 | 2 | — | — | — | — | 1 | — | — | 21 |
| 3 | პირველი გიმნაზია | 355 | 80 | 142 | 33 | 23 | — | 36 | 9 | — | — | 2 | — | 680 |
| 4 | საქალაქო სკოლა ოლღას ქ. | 480 | 122 | 96 | 55 | 65 | — | 117 | 17 | — | — | 6 | — | 958 |
| 5 | მე-4 ქალების გიმნაზია, ანასტ. ქ. | 898 | 80 | 293 | 63 | 46 | — | 148 | 13 | 5 | 6 | — | — | 1044 |
| 6 | ვერის მესამე სკოლა | 459 | 173 | 75 | 52 | 113 | — | 122 | 3 | — | — | 6 | — | 1003 |
| 7 | მიწის მზომელთა სასწავლებელი | 608 | 60 | 92 | 101 | 87 | — | 60 | 3 | — | — | 12 | — | 973 |
| 8 | პირველი მომრიგებ. სასამართლო | 450 | 176 | 164 | 127 | 147 | 2 | 177 | 23 | 2 | 6 | 5 | — | 1279 |
| 9 | სვიატოპოლკ-მირსკის ქ. | 425 | 96 | 206 | 63 | 69 | 2 | 218 | 14 | 2 | — | 7 | — | 1102 |
| 10 | „სამორინო" | 459 | 1 | 206 | 26 | 7 | — | 2 | 254 | 2 | — | 1 | — | 96 |
| 11 | ბარიატინის ქ. | 208 | 38 | 404 | 170 | 22 | 1 | 87 | 561 | 7 | 3 | 2 | — | 1503 |
| 12 | გოლოვინის პროსპექტი | 262 | 61 | 266 | 106 | 54 | 2 | 124 | 36 | 26 | 3 | 1 | — | 941 |
| 13 | გოლოვინის პრ. | 156 | 33 | 188 | 108 | 50 | 3 | 128 | 38 | 17 | 2 | 5 | — | 728 |
| 14 | ვერის დაღმართი | 224 | 51 | 118 | 58 | 18 | 1 | 49 | 18 | 14 | — | 5 | — | 556 |
| 15 | ღარიბთა თავშესაფარი | 785 | 14 | 1371 | 215 | 91 | 4 | 203 | 90 | 14 | 12 | 8 | — | 1929 |
| 16 | სათავად. სასწავლებელი | 1054 | 166 | 390 | 286 | 190 | 1 | 173 | 118 | 19 | 1 | 2 | 1 | 2401 |
| 17 | ქალების 1 გიმნაზია | 349 | 137 | 367 | 113 | 72 | 1 | 182 | 21 | 12 | 3 | 1 | — | 1258 |
| 18 | ლაშის ქუჩა | 278 | 51 | 370 | 194 | 58 | — | 185 | 27 | 19 | — | — | — | 1182 |
| 19 | ქალების მესამე გიმნაზია | 284 | 35 | 312 | 419 | 33 | 2 | 297 | 58 | 17 | 21 | 5 | — | 1483 |
| 20 | ბებუთოვის ქუჩა | 634 | 21 | 100 | 432 | 45 | — | 92 | 15 | 7 | 9 | 1 | — | 1356 |
| 21 | ხელოსნობის საბჭო | 533 | 52 | 49 | 952 | 93 | — | 69 | 26 | 40 | 44 | — | — | 1858 |
| 22 | პუშკინის ქუჩა | 346 | 30 | 54 | 672 | 19 | — | 63 | 23 | 48 | 18 | 3 | — | 1256 |
| 23 | ქალაქის თეატრი | 292 | 40 | 41 | 745 | 17 | — | 83 | 26 | 119 | 27 | 36 | — | 1426 |
| 24 | ახას აბასის მოედანი | 115 | 1 | 46 | 638 | 9 | — | 92 | 32 | 49 | 16 | — | — | 1008 |
| 25 | მოედანი | 51 | — | 144 | 620 | — | — | 33 | 13 | 342 | 16 | 21 | — | 1240 |
| 26 | მუსულმანთა აუდიტორია. | 116 | — | 13 | 183 | 7 | — | 2 | 3 | 1 | 3 | 618 | — | 946 |
| 27 | აბანოს ქუჩა. | 414 | 1 | 314 | 526 | 54 | — | 6 | 27 | — | 2 | 95 | — | 1439 |
| 28 | სურფ. სარქისის ქ. | 344 | 9 | 30 | 57 | 30 | — | 7 | 12 | — | 1 | 808 | — | 1298 |
| 29 | ვორონცოვის ქ. | 330 | 5 | 82 | 120 | 8 | — | 12 | 2 | — | 2 | 1 | — | 562 |
| 30 | თელავის ქ. | 400 | 5 | 68 | 206 | 6 | — | 5 | 15 | — | 2 | — | — | 707 |
| 31 | კახეთის ქ. (ქალაქის ფურნე) | 689 | 10 | 263 | 340 | 15 | 1 | 6 | 24 | 1 | 3 | 45 | — | 1397 |
| 32 | კახეთის ქ. (სკოლა) | 294 | 3 | 221 | 101 | 12 | — | 5 | 15 | 1 | 4 | 29 | — | 685 |
| 33 | ავლაბრის ქ. | 334 | — | 194 | 119 | 7 | 4 | — | 132 | — | 8 | — | — | 798 |
| 34 | კახეთის ქ. აბრამოვის კანტორა | 213 | 3 | 54 | 28 | 2 | 15 | 6 | 8 | 1 | — | 5 | — | 335 |
| 35 | ნიჟეგოროდის პოლკის ყაზარმა | 245 | 6 | 413 | 67 | 11 | 58 | 24 | 195 | 2 | — | 1 | — | 1022 |
| 36 | რეიტერნის ქ. | 109 | 3 | 989 | 34 | 13 | 25 | 15 | 31 | — | — | — | — | 1219 |
| 37 | სასაფლაოს ქუჩა. | 215 | 1 | 27 | 79 | — | 43 | — | 2 | — | 2 | — | — | 369 |
| 38 | სკოლა „მეგუ". | 153 | 2 | 273 | 512 | 12 | — | 1 | 360 | — | 3 | 1 | — | 1317 |
| 39 | მარინეს ეკლესიის სკოლა | 305 | 19 | 39 | 804 | 36 | — | 21 | 27 | 4 | 3 | — | — | 1258 |
| 40 | ავლაბარი | 577 | 8 | 97 | 504 | 46 | — | 30 | 26 | 7 | 5 | 2 | — | 1302 |
| 41 | ლაზარევ ქ. | 320 | — | 64 | 526 | 5 | — | 22 | 6 | 7 | 4 | — | — | 954 |
| 42 | სკოლა სახ. მელიქ ბეგლიაროვისა | 132 | — | 45 | 97 | 10 | — | 5 | 5 | 2 | — | — | — | 296 |
| 43 | პეტროპავლეს ქ. | 454 | 7 | 193 | 265 | 12 | — | 8 | 13 | — | 2 | — | — | 954 |
| 44 | ავლაბრის კლუბი | 361 | 24 | 47 | 755 | 25 | 2 | 15 | 15 | 11 | 5 | — | — | 1260 |
| 45 | ტერ-ხაჩატუროვის დუქანი | 307 | 2 | 704 | 288 | 31 | — | 10 | 439 | 5 | 2 | 5 | — | 1793 |
| 46 | პირველი კომერციული სასწ | 587 | 86 | 119 | 600 | 110 | — | 63 | 36 | 22 | 11 | 6 | — | 1640 |
| 47 | პენასეკოვის ქ. | 544 | 13 | 75 | 438 | 31 | — | 42 | 17 | 12 | 12 | 1 | — | 1185 |
| 48 | მეოთხე მომრიგებელი სასამართლო | 322 | 7 | 33 | 1169 | 3 | — | 6 | 51 | 1 | 6 | — | — | 1598 |
| 49 | დესიმონოვის მოედანი | 453 | 17 | 33 | 316 | 3 | — | 7 | 18 | 3 | — | 96 | — | 946 |
| 50 | მეჯვევარი ქ. | 348 | 4 | 125 | 131 | 4 | — | 1 | 59 | — | — | — | — | 672 |
| 51 | ხელოსანთა კლუბი. | 221 | 28 | 242 | 146 | 34 | — | 142 | 34 | 18 | 8 | 4 | — | 877 |
| 52 | „ „ | 261 | 70 | 145 | 214 | 55 | 1 | 224 | 17 | 24 | 6 | 7 | — | 1024 |
| 53 | ლიუტერანის ქ. | 943 | 136 | 114 | 319 | 137 | 1 | 82 | 48 | 10 | 7 | — | — | 1797 |
| 54 | ჩერქეზოვის ქ. | 541 | 154 | 400 | 728 | 132 | 1 | 186 | 263 | 50 | 18 | 6 | — | 2479 |
| 55 | მესამე მომრიგებელი სასამართლო | 649 | 122 | 101 | 598 | 166 | — | 52 | 60 | 14 | 7 | 2 | — | 1771 |
| 56 | პიატიგორის ქუჩა | 744 | 10 | 54 | 51 | 64 | — | 8 | 21 | — | — | — | — | 952 |
| 57 | ანტონოვსკის ქ. | 800 | 17 | 19 | 46 | 49 | — | 1 | 24 | — | — | — | — | 956 |
| 58 | მიხაილოვის ქ. 156 | 327 | 43 | 373 | 182 | 56 | — | 190 | 95 | 9 | 1 | 7 | — | 1283 |
| 59 | ელისაბედისა და ბატარეინის ქ. | 262 | 15 | 207 | 69 | 31 | — | 51 | 42 | — | — | 1 | — | 678 |
| 60 | ვოგზლის ქ. | 621 | 46 | 310 | 173 | 51 | — | 71 | 59 | 8 | — | 2 | — | 1341 |
| 61 | ეპარქიალური სასწ. ანდრეევის ქ. | 441 | 42 | 209 | 150 | 53 | — | 193 | 34 | 13 | 2 | 3 | — | 1140 |
| 62 | ავჭალის აუდიტორია | 869 | 58 | 255 | 239 | 87 | 1 | 154 | 33 | 2 | 5 | 3 | 4 | 1710 |
| 63 | მიხაილოვის ქ. არტისტ. საზ. | 225 | 29 | 179 | 167 | 16 | 1 | 186 | 20 | 14 | 3 | 10 | — | 850 |
| 64 | სახალხო სახლი | 286 | 33 | 170 | 107 | 44 | 1 | 210 | 27 | 13 | — | 13 | — | 904 |
| 65 | ლოტკინის 24 | 962 | 10 | 66 | 5 | 16 | — | 12 | 54 | — | — | — | — | 1125 |
| 66 | ნაძალადევი, ლოტკინის ქ. | 955 | 1 | 0 86 | 1 | 12 | — | 1 | 45 | — | — | — | — | 1101 |
| 67 | ნაძალადევის, ჩერქეზოვის ქ. | 1433 | 18 | 16 | 37 | 38 | — | 7 | 42 | 1 | — | — | — | 1682 |
| 68 | აფანასიევის ქ. | 1031 | 3 | 68 | 15 | 43 | — | 2 | 21 | — | — | — | — | 1183 |
| 69 | ქალაქის ფურნე 44. | 1170 | — | 58 | 1 | 35 | — | 9 | 13 | — | — | — | — | 1286 |
| 70 | რაბოჩი და პლოტნიჩნი კუთხე. | 837 | 16 | 164 | 50 | 34 | — | 5 | 49 | — | — | — | — | 1155 |
| 71 | ქალაქის სკოლა, ჩერქეზოვის ქ. 100 | 869 | — | 117 | 41 | 13 | — | 7 | 14 | — | — | — | — | 1061 |
| 72 | ვლადიმიროვის 67 | 1070 | 25 | 445 | 41 | 16 | — | 52 | 77 | 1 | 1 | — | — | 1728 |
| 73 | კანტორა „სვეტ" ჩერქეზოვის ქ. | 175 | 10 | 17 | 7 | 2 | — | 4 | 9 | — | — | — | — | 224 |
| 74 | დიდუბის და დუდუკ-კორსაკოვ. ქ. | 700 | 9 | 225 | 31 | 11 | — | 8 | 46 | — | — | — | 12 | 1042 |
| 75 | ელისავეტსკის ქ. საჯირითო მოედანი. | 891 | 11 | 441 | 133 | 53 | — | 37 | 268 | — | — | 10 | 13 | 1857 |
| 76 | ზუბალოვის და სუხუმის ქ. | 655 | 25 | 238 | 77 | 34 | — | 57 | 246 | — | — | 2 | 13 | 1347 |
| 77 | საბალოსნო სკოლა. | 526 | 11 | 109 | 45 | 10 | — | 14 | 30 | 2 | 2 | — | 4 | 753 |
| 78 | ფოთის ქ. 27 | 199 | 15 | 45 | 91 | 17 | — | 54 | 4 | 3 | 3 | — | — | 431 |
| 79 | მუშტაიდი | 426 | 9 | 103 | 26 | 18 | — | 14 | 46 | — | — | — | 1 | 643 |
| 80 | კომერც. სასწ. პეტრაშ. მიხ. ქ. | 19 | — | — | 20 | 2 | — | — | — | — | — | — | — | 41 |
| 81 | ავჭალა—წყალსადენი | 258 | 7 | 1097 | 115 | 29 | — | 33 | 344 | 6 | — | — | — | 1889 |
| 82 | ალექნალი | 17 | 1 | 184 | 9 | 1 | 1 | 1 | 6 | 9 | — | 5 | — | 234 |
| 83 | სამხედრო გოსპიტალი | 90 | — | 5 | 13 | 5 | — | — | — | — | — | — | — | 116 |
| 84 | ქალაქის ახალი სასაფლაო | 755 | 9 | 56 | 7 | 21 | — | 4 | 12 | 1 | — | — | — | 865 |
| 85 | თბილისის სადგური | 362 | — | — | — | 1 | — | — | 1 | — | — | — | — | 364 |
| 86 | ნავთლუღის სადგური | 26 | 1 | 3 | 3 | 6 | — | 1 | 1 | — | 1 | — | — | 43 |

## მაჰმადიან ქალთა უბნები

| №№ რიგზე | საარჩევნო უბნები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | ხ ე ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26 | მუსულმანების აუდიტორია | 39 | — | 5 | 98 | 4 | — | — | 1 | 1 | 3 | 290 | — | — |
| 27 | აბანოს ქ. | 203 | — | 2 | 326 | 35 | — | — | 2 | — | 1 | 45 | — | — |
| 28 | სურფსარქისის ქ. | 262 | 3 | 22 | 44 | 21 | — | 8 | 12 | — | 1 | 395 | — | — |
| 29 | ვორონცოვის ქ. | 82 | 6 | 8 | 13 | 9 | — | — | — | — | — | 413 | — | — |
| | | 38983 | 2880 | 15407 | 18482 | 3185 | 174 | 5140 | 5083 | 1037 | 304 | 1924 | 48 | 92677 |

(„ერთ".)

სტამბა „ცხოვრება" ახლა კალანდაძისა გამოცემის შესახებ № 4

გამომცემელი „ამხანაგობა" საქართველო.